

თამარ ორჯონიკიძე *

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის საკითხი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში *

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თუ როგორ არის წარმოდგენილი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის საკითხი ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებში, რაც სიახლეს წარმოადგენს. საკითხი აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე თანამედროვე ეტაპზე რუსეთის ხელისუფლება ცდილობს ისტორიის გადაწერას, რისი შემადგენელიც არის „აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ საკითხი. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კი ხშირად გამოიყენება ისტორიული მითები საკითხის შესახებ.

რუსეთის პრეზიდენტმა, ვ. პუტინმა, 2019 წელს განაცხადა, რომ აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ისე შეუერთდა რუსეთის იმპერიას და „არავითარი საქართველო არ არსებობდა“. სტალინის დროს კი ჩამოყალიბდა სოციალისტური საქართველოს რესპუბლიკა, რომლის ნაწილადაც იქცა აფხაზეთი. აფხაზების მტკიცება იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობა მათ საბჭოთა პერიოდში წაართვეს ნასაზრდოებია იმ პერიოდში შექმნილი ისტორიის სახელმძღვანელოებითაც. როგორც კვლევა აჩვენებს, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში ამასთან და-

* პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „XX საუკუნის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკვანძო საკითხები ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში“ ფარგლებში. გრანტის კოდი: OTG-I-25-401.

კავშირებით მოცემული ინფორმაცია არასრული, არაზუსტი და მწირია; მოცემული ფრაგმენტული მონაცემები აფხაზეთის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით დამატებით კითხვებს იწვევს, რისი ახსნაც არაა წარმოდგენილი. ეს შეიძლება იმით ავხსნათ, რომ იმ პერიოდისთვის აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი გადაწყვეტილად ითვლებოდა და პრობლემას ვერ ხედავდნენ. პოსტსაბჭოთა საქართველოში აფხაზეთის სტატუსის საკითხმა მეტი აქტუალობა შეიძინა განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. ეს კი აისახა აღნიშნული პერიოდის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.

განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან, დამოუკიდებელ საქართველოში გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოებში მეტი ინფორმაცია წარმოდგენილი ბოლშევიკების მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის და შემდეგ მისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების შესახებ. ხაზგასმულია საბჭოთა ხელისუფლების მიზნები და ამ „ადმინისტრაციული ექსპერიმენტის“ შედეგები.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; ისტორიული მითი; საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები.

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით აფხაზეთს ანუ სოხუმის ოლქს მინიჭებული ჰქონდა ავტონომიის სტატუსი. განისაზღვრა ავტონომიის დებულებაც, მაგრამ მისი ამოქმედება შეუძლებელი გახდა 1921 წლის თებერვლის ომის შედეგად საქართველოს ოკუპაციამ და საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ.

ბოლშევიკურმა რეჟიმმა დაიწყო საქართველოს ტერიტორიული დანაწილება. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, რომელიც შემდეგ კვლავ დააბრუნეს საქართველოს შემადგენლობაში. ამ პრო-

ცესის ახსნა საბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოებში მეტად მშრალად არის წარმოდგენილი: ა) არ არის ნათქვამი, რომ აფხაზეთს ავტონომია ენიჭებოდა 1921 წელს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციით; ბ) მოცემულია მხოლოდ თარიღები, თუმცა არ არის ახილი ცვლილებების მიზეზები.

კვლევაში შინაარსობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული სკოლის ისტორიის 5 და პოსტსაბჭოთა პერიოდის 6 ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, სადაც განხილულია მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები; ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ქმნის ასევე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ისტორიული მითის, მისი კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების შესახებ და სახელმძღვანელოების, როგორც კოლექტიური მემსიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზის შესახებ.

ისტორიული მითი

ისტორიული მითის ცნების განსაზღვრა საკმაოდ რთულია. 2019 წლის კვლევაში ბერნარდი და სხვა ავტორები სწორედ ამაზე საუბრობენ. მათი მტკიცებით, ისტორიული მითის ცნების განსაზღვრა არ არის მარტივი და თუ მაინც ვეცდებით, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მისი შინაარსისა და ფუნქციების საფუძველზე. ავტორები აღნიშნავენ, რომ მითი პროპაგანდა არაა, თუმცა ის შეიძლება გახდეს პროპაგანდისტული ან იდეოლოგიური ინსტრუმენტალიზაციის მსხვერპლი და ბოროტად გამოიყენონ. ისტორიული მითის განსაკუთრებული ფუნქცია თხრობითი კავშირის შექმნაა კონკრეტული საზოგადოების აწმყოსა და წარსულს შორის, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღმოცენდება (Bernhard, Grindel, Hinz & Meyer-Hamme, 2019). იგივე ავტორები პოლიტიკურ და ისტორიულ მითებს შორის პარალელს ავლებენ და მათ შორის განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას. საზღვარი პოლიტიკურ და ისტორიულ მითებს შორის მყარი არაა. ავტორები განმარტავენ, რომ პოლი-

ტიკურ და ისტორიულ მითებს შორის გადამწყვეტი განსხვავება მათ საზოგადოებრივ ფუნქციაშია. ისინი ისტორიულ მითებს განასხვავებენ უტოპიისა და იდეოლოგიისაგან. მათი თქმით, მთი საზოგადოებრივი ძალის მობილიზებას ახდენს. ის განსხვავდება იდეოლოგიისაგან ინტეგრაციისკენ მიდრეკილებით (იდეოლოგია - ავტორთა მტკიცებით, არსებული წესრიგის დაყოფისა და გამრავლებისკენაა მიდრეკილი); ასევე რიტუალების მნიშვნელობაზე საუბრობენ. პოლიტიკური მითები და რიტუალები ხშირად მჭიდრო ურთიერთკავშირშია. რიტუალები აცოცხლებს მითებს აწმყოში, მითი კი სამაგიეროდ მას ლეგიტიმურობას ანიჭებს. რიტუალები, როგორც საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც ყოველდღიურობისაგან განცალკევებით მრავალჯერ სრულდება, მითს ანიჭებს ფუნქციას იყოს აზრის გენერატორი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. კავშირი, რომელსაც ქმნის მითი კოლექტივსა (ერსა თუ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში) და მათ წარსულის ინტერპრეტაციაში, დასტურდება და განმტკიცდება სწორედ ამ რიტუალების უწყვეტი გამეორებით (Bernhard, Grindel, Hinz, & Meyer-Hamme, 2019).

ისტორიული მითის რეალობასთან კავშირს ეხებიან მელენტინი და შაპირო (MELLENTHIN & SHAPIRO, 2017), რომლებიც განმარტავენ, რომ ისტორიული მითები ისტორიული მოვლენების შესახებ მოგვითხრობენ და მეხსიერებაში აცოცხლებენ ამ პროცესებს. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ მითებში სიზუსტე დაკარგულია, თუმცა ზოგადი სურათი შენარჩუნებულია. მაგალითად ავტორებს ტროას ომი მოჰყავთ, ასევე ილიადა და ოდისეა; ტროას ომი სინამდვილეში მოხდა, თუმცა პერსონაჟები, რომელთაც ილიადადან და ოდისეადან ვიცნობთ (აქილევსი, აგამემნონი...) სავარაუდოდ არ არსებობდნენ. (MELLENTHIN & SHAPIRO, 2017). ამავე თემაზე საუბრობენ დუბალოვა და ფიცა. მათი აზრით, ისტორიული მითი შედგება მრავალი ისტორიულად გადამოწმებული და დამტკიცებული მოვლენისაგან. მათი წყარო რეალობაა და ადამიანი მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მითი წარსულს აქცევს აწმყოდ, ხოლო

ისტორიული მოვლენა გაყავს დროის ჩარჩოდან და ის უკვე ყველა დროში მისაღებია (Fica & Ďoubalová, 2014).

სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაც აჩვენებს, რომ „ისტორიული მითის“ ცნება საკმაოდ ბუნდოვანია და მისი ცალსახა დეფინიცია არ არსებობს. ისტორიული მითი პოლიტიკური მითის სახეობას წარმოადგენს (Белов, 2018). ისტორიული მითების სპეციფიკა, როგორც პოლიტიკური მითის სახეობისა, შემდეგში ვლინდება:

- ისტორიული მითები წარსულს ეხება და აგებულია ისტორიული ფაქტების საფუძველზე;

- ისტორიული მითი ამავე დროს თანამედროვეობასთან არის დაკავშირებული და ზეგავლენას ახდენს არსებული სინამდვილის აღქმაზე წარსულის მოვლენების ინტერპრეტაციის გზით;

- ისტორიული მითი, უმრავლეს შემთხვევებში, გარკვეულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული და მას წარმოადგენს პოზიტიურად ან ნეგატიურად;

- ისტორიული მითი ლეგიტიმაციას ანიჭებს გარკვეულ პოლიტიკურ წესრიგს ან, პირიქით, ანგრევს მის ლეგიტიმურობას;

- ისტორიული მითი ზეგავლენას ახდენს ადამიანთა მიერ საკუთარი იდენტობის აღქმაზე.

ისტორიული მითი წარსულის გამარტივებული, ხშირად არასწორი, მაგრამ მასობრივი ცნობიერებისათვის ადვილად აღსაქმელი და მოსახერხებელი სურათია. ისტორიული მითი მასობრივი აუდიტორიისთვის უფრო მიმზიდველი და გასაგებია, ვიდრე წარსულის სანდო მეცნიერული მოდელი.

ისტორიული მითის მთავარი ფუნქციაა ისტორიული მოვლენების მარტივი და გასაგები განმარტებების ჩამოყალიბება. ისტორიული მითის ეს თვისება განაპირობებს იმას, რომ ისტორიული მითი ხშირად ხდება იდეოლოგიური კონსტრუქციის ელემენტი, აყალიბებს გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ იდენტობას (АНИКИН, 2018).

ისტორიული მითი წარსულის ვერსიის გადმოცემისას არ ეყრდნობა შემოწმებულ და რეალურ ფაქტებს, რომელიც რაციონალურ ცნობიერებას მიმართავს; ის ემოციურად არის გაჯერებული და სიმბოლოებითაა დატვირთული. ისტორიული მითი არა იმდენად ცოდნაა, რამდენადაც რწმენა. ამიტომაც მეცნიერული არგუმენტების მოშველიებით ისტორიული მითების გაქარწყლება, უმრავლეს შემთხვევებში სათანადო ნაყოფს არ იძლევა.

რამდენად არასანდოა ისტორიული მითი, რამდენად არასწორია მასში გადმოცემული წარსულის სურათი?

ერთ-ერთი ვერსიით, ისტორიული მითი არის წარსულის მოვლენების გამარტივებული, ვულგარიზებული კონსტრუქცია, შეიძლება ჩამოყალიბდეს სტიქიურად, არ ქონდეს კონიუნქტურული ხასიათი და პოლიტიკური ქვეტექსტი (თუმცა, ისტორიული მითი პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე ძნელად წარმოსადგენია).

პოლიტიკური მითი და მისი სახეობა - ისტორიული მითი საზოგადოების ცნობიერებაზე ახდენს ზეგავლენას, ამ მიზნით არის შექმნილი და მანიპულაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს. პოლიტიკური ან, კონკრეტულად, ისტორიული მითების ამოცანა შეიძლება იყოს საზოგადოებაში შიშის დანერგვა, რაღაცისადმი სიძულვილის გაღვივება, ანდა პირიქით, - გარკვეული იდეის ან პოლიტიკური ძალისადმი მხარდაჭერის მობილიზება.

უმრავლეს შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, ისტორიული მითი გაგებულია როგორც ისტორიის ფალსიფიკაცია, წარსულის მოვლენების დამახინჯებული, არასწორი გადმოცემა.

სახელმძღვანელოების მნიშვნელობა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებისას

მრავალი ავტორი საუბრობს იმის შესახებ თუ როგორ იყენებენ მთავრობები ისტორიის სწავლებას, როგორც ინსტრუმენტს ერის მშენებლობისთვის ან საზოგადოებაში კონკრეტული დისკურსის გასაძლიერებლად.

სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოს, როგორც კოლექტიური მეხსიერების ფორმირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, დიდი როლი აქვს ახალგაზრდების ეროვნული თუ კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელოები, მასში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რომელიმე სახელმწიფოს მომავალი განვითარების, მიზნების თუ პოლიტიკური ორიენტაციის წარმოსაჩენად. სკოლაში ისტორიის სახელმძღვანელოებიდან მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ახალგაზრდის დამოკიდებულებას მისი ქვეყნის არამხოლოდ წარსულის, არამედ მიმდინარე და მომავალი მოვლენების შესახებ.

კოლექტიური მეხსიერება წარსულის სოციალურად გაზიარებული წარმოდგენაა, რომელიც განუყოფელ როლს ასრულებს ჯგუფის იდენტობის შენარჩუნებაში (Roediger & Abel, 2015; Wertsch & Roediger, 2008). კოლექტიური მეხსიერება შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს საზოგადოებაში არსებული ცვალებადი განწყობების შესაბამისად (Roediger & Abel, 2015; Wertsch, 2009).

ისტორიის სახელმძღვანელოები გამოიყენება როგორც პოლიტიკური და კულტურული ინსტრუმენტები, რომლებიც ასახავს ეროვნული სახელმწიფოს ან ჯგუფის მიზნებსა და მოსაზრებებს (Blatz & Ross, 2009; Obradović, 2016; Podeh, 2000; Roediger, Zaromb, & Bulter, 2009) (იხ. Doi, 2017. p.4).

ბიკმენის მიხედვით, კოლექტიური მეხსიერება ავლენს თუ როგორ განმარტავენ კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფები ისტორიას ანუ აშკარა კავშირი კოლექტიურ მეხსიერებასა და ისტორიას შორის (Bikmen, 2013). თუმცა აღსანიშნავია, რომ ვერჩი კოლექტიურ მეხსიერებას ახასიათებს როგორც „სუბიექტურს“, ისტორიას კი „ობიექტურს“ (Wertsch, 2009. იხ. Doi, 2017. p.7).

სახელმწიფოებს აქვთ ისტორიის თხრობის საკუთარი ვერსია, რომელიც საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებას აყალიბებს „მყარი“ მოგონებების საშუალებით, როგორცაა ძეგლები, სახელ-

მწიფო კანონები, სასამართლო გადაწყვეტილებები და მემორიალური ადგილები (Gang, 2020). ისტორიის ეს ოფიციალური ნარატივი ისწავლება როგორც ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე სახელმწიფო ნარატივებისა და სიმბოლოების საშუალებით, რომლებიც საზოგადოების წევრების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია (იხ. ÖKSÜZOĞLU, 2024. p.145). „რბილი“ მოგონებები იქმნება და გაზიარებულია სოციალური პროცესების სახით. ესენია ნარატივები, ისტორიული ტექსტები და სხვ.

ისტორიის სწავლებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სოციალურ დისკურსზე და იმაზე, თუ როგორ აღიქმება „რბილი“ მოგონებები (Korostelina, 2008) და რადგან ფორმალური სკოლა თაობის ჩამოყალიბების ცენტრშია და სახელმძღვანელოები ცოდნის გადაცემის მთავარი საშუალებაა, ოფიციალური ნარატივი აყალიბებს მას და ხშირად წარმოდგენილია შერჩევით (Boon & Gopinathan, 2005. იხ. ÖKSÜZOĞLU, 2024. p. 145). ის გვაწვდის ინფორმაციას კოლექტიური წარსულის შესახებ და აყალიბებს ერთგულებას გარკვეული სოციალური ჯგუფების მიმართ. სახელმძღვანელოების მეშვეობით შესაძლებელია როგორც ოფიციალური (სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული) ცოდნის, ასევე ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური და რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბება ან ტრანსფორმაცია (Korostelina, 2008).

კოლექტიური მეხსიერების შესწავლისას სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას 2009 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში ავტორები. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, გარკვეულწილად გააკონტროლოს სკოლებსა თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესასწავლი მასალა, რომელიც შესაძლებელია წლების განმავლობაში შეიცვალოს ისტორიის მიმდინარე და თანამედროვე პერსპექტივით (რისი შედეგიცაა გარკვეულწილად კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბება), კოლექტიური მეხსიერების ეფექტურად შესწავლა შესაძლებელია სკოლაში სწავლის პერიოდში

მოსწავლეების მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოების ანალიზით (Roediger, Zaromb, & Butler, 2009), რაც აღნიშნულმა ავტორებმა კონკრეტული კვლევებით დაადასტურეს. კოლექტიური მესხიერების კვლევაში სახელმძღვანელოების შესწავლის ეფექტურობის არგუმენტის კიდევ უფრო დასასაბუთებლად, უორდი (2006) ამტკიცებდა, რომ სახელმძღვანელოებს აქვთ უნიკალური თვისება, წარმოადგინონ ქვეყნის ეროვნული იდენტობა (იხ. Doi, 2017. p.8).

საბჭოთა ხელისუფლება იაზრებდა რა ისტორიის საკუთარი ვერსიის სწავლების მნიშვნელობას, ატარებდა შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკას (ქმნიდა სასკოლო სახელმძღვანელოებს) საკუთარი ინტერესების გასატარებლად. საბჭოთა საქართველოში ისტორია, როგორც სასკოლო საგანი გაუქმდა 1922 წელს. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ხსნიდნენ, „ისტორიის შესწავლა იქნებოდა მნიშვნელოვანი დაბრკოლება მშრომელი მასებისთვის სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. 1920-იანი წლებიდან 1940-იან წლებამდე თაობები აღიზარდა საბჭოურ იდეოლოგიურ დოგმებზე, რომელთათვისაც საქართველო, როგორც სამშობლო არ არსებობდა“ (ვარდოსანიძე, 1998, გვ. 52). მოგვიანებით, პოლიტიკა შეიცვალა და დაიწყო ისტორიის სწავლება. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოს ისტორია ცალკე საგნად ისწავლებოდა როგორც საშუალო, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, „საბჭოთა კავშირის ისტორიის“ პარალელურად. თუმცა „შესაბამისი“ ისტორიის სწავლება მიჩნეული იყო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების გატარებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა საქართველოს ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებში

როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ საქართველოს

ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოები ბევრს არ წერენ. კერძოდ, 1961 წელს, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში საკვლევი საკითხის შესახებ მცირე ჩანაწერია მოცემული ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ არსებულ ქვეთავში და ისიც ქართველი ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ უარყოფითად წარმოჩენის მიზნით (ბერძენიშვილი, რედ. 1961. გვ. 349). ამავე სახელმძღვანელოში აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა ხაზგასმულია ასევე 1937 წელს, საქართველოს სსრ-ის მიერ კონსტიტუციის მიღების განხილვისას (ბერძენიშვილი, რედ. 1961. გვ. 379).

აღსანიშნავია ამავე წელს გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი სახელმძღვანელო ვლადიმერ გუჩუასა და შოთა მესხიას ავტორობით, რომელიც საერთოდ არ ახსენებს საბჭოთა საქართველოში ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნას.

საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელო აფხაზეთის ასსრ-ს შექმნას „ეროვნული საკითხის გადაჭრას“ უკავშირებს (ციხისტავი, ცერცვაძე და მახარაძე, 1968. გვ. 225). თუმცა არაა ახსნილი კონკრეტულად როგორ „მოაგვარა ეროვნული საკითხი“ აფხაზეთის ასსრ-მ. სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი გასაბჭოებიდან მალევე შექმნილი აფხაზეთის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“, მისი შექმნის მიზეზების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე სკოლებში ისტორია ისწავლება 2012 და შემდგომ წლებში გამოქვეყნებული სახელმძღვანელოებით, ნაშრომში გაანალიზებულია სწორედ ამ პერიოდის სახელმძღვანელოები, სადაც შესაძლებელია იყოს მოცემული ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან, დამოუკიდებელი საქართველოში გამოქვეყნებული ისტორიის სახელმძღვანელოები მოსწავლეებს მეტ ინფორმაციას აწვდიან საქართველოს შემადგენლობაში ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნის შესახებ. მათ შორის განხილულია შექმნის მიზეზები, მოსახლეობის რაოდენობა და სხვ. აღნიშნული პერიოდის სახელმძღვანელოებში ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნა ახსნილია ბოლშევიკთა სურვილით - დაედლიათ „ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ჩამოყალიბებული ეთნიკური შუღლი“ და ეროვნული უმცირესობებისთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭებით ეროვნული საკითხი მოეგვარებინათ (სურგულაძე და სხვ., 2021. გვ.303/304).

სახელმძღვანელოებში ასევე აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ხელოვნურმა ჩარევამ მდგომარეობა გაართულა და წარმოშვა ეთნიკური დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს და ქართველებსა და აფხაზებს შორის. ბოლშევიკებმა რამდენჯერმე შეცვალეს გადაწყვეტილება - „1921 წელს აფხაზეთს მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი, თუმცა იმავე წლის დეკემბერში ის „განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით“ დაუკავშირდა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას (ანუ აფხაზეთი საქართველოს განსაკუთრებული სტატუსის მქონე ნაწილი იყო და ფორმალურად იწოდებოდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად), 1931 წლიდან კი აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში“ (სურგულაძე და სხვ., 2021. გვ.304). აფხაზეთისთვის სტატუსის შეცვლის მიზეზები არც თანამედროვე პერიოდის სახელმძღვანელოშია ახსნილი.

აფხაზეთისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას „საბჭოთა კავშირში ერთგვაროვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ჩამოყალიბებით“ ხსნის 2012 წელს, ავტორთა კოლექტივის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო (კილურაძე და სხვ., 2012. გვ. 240). იქვე აღნიშნულია, რომ 1921-1931 წლე-

ბის ეს „გაუგებარი ბოლშევიკური ადმინისტრაციული ექსპერიმენტი“ XX საუკუნის ბოლოს აფხაზმა სეპარატისტებმა გამოიყენეს „აფხაზეთის მიმართ ჩადენილი უსამართლობის - მისი სტატუსის დადაბლების“ იურიდიულ საბუთად“ (კილურაძე და სხვ., 2012. გვ. 240). სახელმძღვანელო აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას უკავშირებს „კავშიურს“ და მისი მითითებით მოქმედ საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს. იქვე აღნიშნულია, რომ თბილისსა და სოხუმს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება, „აფხაზეთის სსრ შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში, როგორც ე.წ. „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“, ფაქტობრივად, ავტონომიის უფლებებით (ზუსტად ასე განიხილავდა მას საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია)“ (კილურაძე და სხვ., 2012. გვ. 240).

განსხვავებული მიზეზითაა ახსნილი აფხაზეთისთვის „დამოუკიდებლობის“ მინიჭება 2012 წელს გამოქვეყნებულ კიდეც ერთ სახელმძღვანელოში (ასათიანი და სხვ., 2012. გვ.380/381), სადაც ავტორები აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის მიზეზად ლენინის სურვილს მიიჩნევენ „შენარჩუნებინა იმპერია“ და ამის გამო ყველას „დამოუკიდებლობას“ ჰპირდებოდა. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ მალევე აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აბსურდად იქცა“ (ასათიანი და სხვ., 2012. გვ.381). 1921 წლის დეკემბერში კი დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი ოფიციალურად კვლავ საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთ ავტონომიურ ერთეულად იქცა, მისი სახელწოდება არ შეცვლილა. ეს ამკარა შეუსაბამობა 1931 წლამდე გაგრძელდა, როდესაც მისი სახელწოდება შეიცვალა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკით“.

დასკვნა

როგორც კვლევა აჩვენებს, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში საკვლევ საკითხთან დაკავშირე-

ბით მოცემული ინფორმაცია არასრული, არაზუსტი და მწირია; მოცემული ფრაგმენტული მონაცემები აფხაზეთის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით დამატებით კითხვებს იწვევს, რისი ახსნაც არაა წარმოდგენილი. ეს შესაძლებელია იმით აფხსნათ, რომ იმ პერიოდისთვის აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი გადაწყვეტილად ითვლებოდა და პრობლემას ვერ ხედავდნენ. პოსტსაბჭოთა საქართველოში აფხაზეთის სტატუსის საკითხმა მეტი აქტუალობა შეიძინა განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. ეს კი აისახა აღნიშნული პერიოდის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან, დამოუკიდებელ საქართველოში გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოებში მეტი ინფორმაციაა წარმოდგენილი ბოლშევიკების მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის და შემდეგ მისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების შესახებ. ხაზგასმულია საბჭოთა ხელისუფლების მიზნები და ამ „ადმინისტრაციული ექსპერიმენტის“ შედეგები. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმძღვანელოები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში და აფხაზეთის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, აღნიშნულის სწავლებას დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს არამხოლოდ განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის საწარმოებლად, არამედ რეალური ისტორიის სწავლებით იმ ისტორიული მითების დასაძლევად, რომლებიც დღეს ვრცელდება მათ შორის რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ და რომელიც ასაზრდოებს აფხაზი სეპარატისტების ანტიქართულ განწყობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. (2012). ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე“.
- ასათიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომაშვილი, ფ. მეტრეველი, რ. სანიკიძე, გ. და ოთხმეზური, გ. (2012). საქართველოს ისტორია. სულაკაურის გამომცემლობა.
- ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ. ფირცხალავა, ნ. (2021). ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე“.
- გუჩუა, ვ., & მესხია, ს. (1961). *საქართველოს ისტორია: VII-X კლასების სახელმძღვანელო*. თბილისი. „განათლება“.
- ვარდოსანიძე, ს. (1998). *როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები*. ისტორია. გამომცემლობა „სკოლა“
- კიდურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ. (2012). ისტორია. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ლომაშვილი, ფ. (1990). *საქართველოს ისტორია. X კლასის სახელმძღვანელო*. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
- საქართველოს ისტორია. (1961). ბერძენიშვილის რედაქტორობით. თბილისი. „განათლება“.
- სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. (2021). საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. თბილისი. ლოგოს პრესი
- ცერცვაძე, მ. (1973). *საქართველოს ისტორია*. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
- ციხისთავი, ლ. ცერცვაძე, მ., & მახარაძე, ი. (1968). *საქართველოს ისტორია. VII-X კლასების სახელმძღვანელო*. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
- ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ. (2012). საქართველოს ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „კლიო“.
- Bernhard, R., Grindel, S., Hinz, F., & Meyer-Hamme, J. (2019) Historical myth: a definition from the perspective of history education research. *Eckert. Dossiers 4 (2019)*
- Bikmen, Nida. (2013). *Collective Memory as Identity Content After Ethnic Conflict: An Exploratory Study*. Peace and Conflict: Journal

of Peace Psychology Vol. 19, No. 1, 23–33.
<https://psycnet.apa.org/doi/10.1037/a0031472>

- Doi, Stephanie. (2017). *Collective Memory and History: An Examination of Perceptions of Accuracy and Preference for Biased "History" Passages*. COLLECTIVE MEMORY AND HISTORY. Claremont McKenna College.
- Fica, I., & Ďoubalová, K. (2014). Myth, History and Art. *Procedia - Social and Behavioral Sciences* 149 (2014) 339 – 343
- Korostelina, Karina. (2008). *History Education and Social Identity*. Identity: An International Journal of Theory and Research. 8:1, 25-45. Taylor & Francis Group, LLC
<https://doi.org/10.1080/15283480701787327>
- Mellenthin, J., & Shapiro, S. (2017). *Mythology Unbound: An Online Textbook for Classical Mythology Utah State University*
- ÖKSÜZOĞLU, Gizem. (2024). *Construction of collective memory through official history education in North Cyprus (1971-2003)*. Turkish History Education Journal Vol.13 Issue.1 Pages 142-169.
<https://doi.org/10.17497/tuhed.1423137>
- Paulson, J, Abiti, N, Bermeo Osorio, JD, Charria Hernandez, CA, Keo, D, Manning, P, Milligan, LO, Moles, K, Pennell, C, Salih, S & Shanks, K (2020), 'Education as a site of memory: Developing a research agenda', International Studies in Sociology of Education, vol. 29, no. 4, pp. 429-451.
<https://doi.org/10.1080/09620214.2020.1743198>
- АНИКИН, Д.А. (2018) ИСТОРИЧЕСКИЙ МИФ КАК ПРЕДМЕТ "MEMORY STUDIES": В ПОИСКАХ МЕТОДОЛОГИИ ИССЛЕДОВАНИЯ. მოძიებულის 20.03.2020.
<https://www.elibrary.ru/item.asp?id=36287950>
- Белов, С. И. (2018). «Соотношение концептов "политический миф" и "исторический миф"», - Вестн. Моск. Ун-та. Серю 12. Политические Науки 2018 № 3. მოძიებულის 20.03.2020.
<https://tinyurl.com/mz5uu33a>

Tamar Orjonikidze

The issue of the creation of the Abkhazian Autonomous Soviet Socialist Republic in the context of politics of memory

abstract

The report examines how the creation of the Abkhazian Autonomous Soviet Socialist Republic is presented in Soviet history textbooks, which is a novelty. The topic is significant as the Russian government, both during the Soviet period and in the present day, has sought to rewrite history, which includes the issue of the "Independent Soviet Socialist Republic of Abkhazia." It often uses historical myths about the issue to support his position.

In 2019, President Vladimir Putin stated that Abkhazia joined the Russian Empire as an independent state and declared that “there was no Georgia. During Stalin’s rule, the Socialist Republic of Georgia was established, incorporating Abkhazia as one of its parts. The assertion by Abkhazians that their independence was deprived during the Soviet era also originates from history textbooks produced in that period. The study demonstrates that Soviet-era Georgian history textbooks present incomplete, inaccurate, and limited information on this issue; The fragmented data provided raises additional questions about the change in Abkhazia's status, for which no explanation is provided. This can be explained by the fact that at that time, the autonomous status of Abkhazia was considered settled, and they did not see a problem. In post-Soviet Georgia, the issue of Abkhazia's status gained more relevance due to the developments that occurred. This was reflected in the school textbooks of that period's history.

Unlike the Soviet period, the manuals published in independent Georgia provide more information about the creation of the Abkhaz Soviet Socialist Republic by the Bolsheviks and later the granting of autonomous republic status to it; The aims of the Soviet government and the results of this "administrative experiment" are emphasized.

Keywords: Abkhaz Autonomous Soviet Socialist Republic; historical myth; history textbooks of Georgia.